



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება

Nº476

2016 წლის 13 მაისი

ქ.ლაგოდეხი

**ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 26 თებერვლის N2/304 ბრძანებაში
ცვლილების განხორციელების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 26 თებერვლის №2/304 ბრძანებაში „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის, აუქციონის ორგანიზების მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის შესახებ“ და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით. კურძოდ: ბრძანების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1.შეიქმნას ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის, აუქციონის ორგანიზების მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისია.**

კომისია ჩამოყალიბდეს შემდეგი შემადგენლობით:

- იოსებ ტყემალაძე - გამგებლის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;

კომისიის წევრები:

- ალექსი ჭავჭავაძე - ზედამხედველობის სამსახურის უფროსი;

- გიორგი ჩალათაშვილი - ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი;

- ივანე ყაველაშვილი - ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისა და სტატისტიკის განყოფილების უფროსი;

- შალვა ჯიბლაძე - /რეგისტრატორი/- ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისა და სტატისტიკის განყოფილების მთ. სპეციალისტი-ქონების, ეკონომიკური განვითარებისა და სტატისტიკის საკითხებში;

- ლელა კურტანიძე - /აუქციონატორი/- ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისა და სტატისტიკის განყოფილების მთ. სპეციალისტი-ქონების, ეკონომიკური განვითარებისა და სტატისტიკის საკითხებში; „

მუხლი 2. ბრძანების ყველა სხვა პუნქტი დარჩეს უცვლელად.

მუხლი 3. ბრძანება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

გამგებელი:

კარლო ჯამბურია